არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირის - „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“

წ ე ს დ ე ბ ა

ქ. თეთრიწყარო

2024 წელი

მუხლი 1

ზოგადი დებულებანი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირი „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი“ (შემდგომში „ცენტრი“) წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს არასამეწარმეო საქმიანობა. იგი იურიდიული პირის სტატუსს იძენს მისი სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან და წესდებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებისას მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსის“, „საქართველოს კანონით „მეწარმეთა შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, „საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, სხვა საკანონმდებლო აქტების, წინამდებარე წესდებისა და დამფუძნებლის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტებით. მისი მიზანია სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად და სახელმწიფო კონტროლით, დამოუკიდებლად განახორციელოს სააღმზრდელო-საგანმანათლებო საქმიანობა. ასევე, ქალაქ თეთრიწყაროში ცენტრის რეესტრში რეგისტრირებული ბენეფიციარების ყოველდღიური უფასო კვება (ცენტრის სასადილოში) და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ბენეფიციარების უზრუნველყოფა მშრალი პროდუქტებით ყოველთვიურად, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სპეციალური კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე.

2. „ცენტრის“ დამფუძნებელია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, დამფუძნებლის უფლებამოსილებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის სახით.

3. „ცენტრი“ ანგარიშვალდებულია დამფუძნებლის წინაშე.

4. "ცენტრი" შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 2

იურიდიული პირის სტატუსი და იურიდიული მისამართი

1. „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის" (შემდგომში „ცენტრი“) სამართლებრივი ფორმა არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირი.

2. ცენტრის იურიდიული მისამართია; საქართველო, 2300, ქალაქი თეთრიწყარო, თამარ მეფის ქუჩა N 13.

3. "ცენტრის" საიდენტიფიკაციო ნომერია: 230869539.

4. "ცენტრის" ელექტრონული მისამართია: aaip_skolamdelidasocialuri@yahoo.com

5. "ცენტრს" გააჩნია დამოუკიდებელი ბალანსი, ბეჭედი საკუთარი სახელწოდებით, საანგარიშწორებო და სხვა ანგარიშები სახელმწიფო ხაზინაში და იურიდიული პირის სხვა აუცილებელი რეკვიზიტები.

მუხლი 3

ცენტრის საქმიანობის მიზნები

1. ამ წესდების განსაზღვრული მიზნების და ამოცანების მისაღწევად, ცენტრი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს ადრეული და სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების და სოციალურად დაუცველთა სასადილოს მართვის ფარგლებში.

2. ცენტრის მიზანია:

2.1. უზრუნველყოს დაწესებულებების მომსახურების ხარისხი.

2.2. კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს, დაწესებულებების საქმიანობის ყველა მიმართულების მონიტორინგი.

2.3. ხელი შეუწყოს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების პროცესს.

2.4. მოამზადოს და ჩაატაროს სემინარები, ტრენინგები, მეთოდური ლექციები.

2.5. ხელი შეუწყოს ადრეული და სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებაში ინკლუზიური განათლების პროცესს.

2.6. უზრუნველყოს სააღმზრდელო პროცესის ოპტიმალურად წარმართვის, ფიზიკური გარემოს ძირითადი მახასიათებლების და უსაფრთხოების პრინციპებთან დაკავშირებული საკითხების უზრუნველყოფის მიზნით, ადრეული და სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების იწფრასტრუქტურული განვითარება და გაუმჯობესება. მათ შორის ახალი ადრეული და სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების შექმნისა და შეკეთება-რემონტის სამუშაოების ორგანიზება.

2.7. ხელი შეუწყოს ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნორმალურ აღზრდას, მათ ჰარმონიულ განვითარებას და სკოლისათვის მომზადებას, ბავშვთა აზროვნებისა და ემოციური სამყაროს ფორმირებას. მათ ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას. მოამზადოს ისინი საზოგადოებასთან ინტეგრაციისთვის.

2.8. „ცენტრი" სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს წარმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდის

სახელმწიფო პროგრამების, სტანდარტების და განათლების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2.9. „ცენტრი" აღსაზრდელებისათვის ქმნის ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური უსაფრთხოების პირობებს, სანიტარული ნორმები განისაზღვრება სახელმწიფო სტანდარტებითა და ნორმატივებით.

2.10. „ცენტრი" უფლებამოსილია უზრუნველყოს ადრეული და სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების განვითარებაზე ორიენტირებული ინიციატივების მხარდაჭერა.

2.11. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების განვითარების მიზნით, მოიძიოს დაფინანსება დონორებიდან და ფონდებიდან.

2.12. მოახდინოს ბაზრის კვლევის ჩატარება, სახელმწიფო შესყიდვების გეგმის მომზადებისა და პოტენციური მომწოდებლების გამოვლენის მიზნით.

2.13. მოახდინოს სახელმწიფო შესყიდვების უზრუნველსაყოფად, ცენტრის მიერ განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვის საშუალებების განსაზღვრა (გამარტივებული შესყიდვა, გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, ელექტრონული ტენდერი და კონკურსი) და სხვა საჭირო ღონისძიებების გატარება. ამ წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად განახორციელოს საქონლის მომსახურების და სამუშაოს შესყიდვა კანონით დაგენილი წესით.

2.14. უზრუნველყოს მომწოდებლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების რეგისტრაცია, კანონით დადგენილი წესით.

2.15. კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, მიიღოს დაფინანსება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიიდან და განახორციელოს აღნიშნული სახსრების გონივრული ხარჯვა.

2.16. საკუთარი სახელით განახორციელოს თავისი უფლება-მოვალეობები, დადოს გარიგებები, საკუთარი სახელით გამოვიდეს მესამე პირებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან და სასამართლოში.

2.17. ამ წესდებით და კანონმდებლობით დადგენილი წესით, განახორციელოს „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი"-ს ინფრასტრუქტურის და სხვა მიმართულების განვითარების პროექტები, მათ შორის ახალი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შექმნის პროექტები, ცენტრის სარგებლობაში არსებული ფართების კაპიტალური და მიმდინარე რემონტი განახორციელოს დამფუძნებელთან შეთანხმებით. აღსაზრდელთა განვითარების ხელშეწყობისათვის არსებული სტანდარტების შესაბამისად განახორციელოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეზოების მოწყობა (ატრაქციონები, სათამაშო მოედნები და სხვა) და სხვა ღონისძიებები.

2.18. აწარმოოს ა.ა.ი.პ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი"-ს საბავშვო ბაღების ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაცია მთელი წლის განმავლობაში. ხოლო აღსაზრდელთა ჩარიცხვა მოხდეს კვარტალში ერთხელ. საბავშვო ბაღში აღსაზრდელები მიიღებიან 2 დან 6 წლის ასაკამდე.

2.19. ცენტრი დამოუკიდებლად წარმართავს სასწავლო პროცესს შემუშავებული გეგმის მიხედვით, საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ რეკომენდებული პროგრამის ფარგლებში. უფლებამოსილია საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა დასწრების პროცენტულობის (10% და ნაკლები) მიხედვით განსაზღვროს სასწავლო პროცესის შეჩერებისა და განახლების წესი.

2.20. განახორციელოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ცენტრის რეესტრში რეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი ფენის ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა.

2.21. უფასო ერთჯერადი კვება ხორციელდება ყოველდღიურად, კვირა დღისა და სადღესასწაულო დღეების ჩათვლით.

2.22. უზრუნველყოს პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების რეესტრის შექმნა და მონიტორინგი.

2.23. ენერგეტიკული ღირებულების ბალანსის დაცვით უზრუნველყოს შესაბამისი მენიუს შექმნა.

2.24. განახორციელოს სოციალურად დაუცველი ფენის, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისი წესების დადგენა დამფუძნებლის თანმობით.

2.25. განახორციელოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, ცენტრის რეესტრში რეგისტრირებული ბენეფიციარების უზრუნველყოფა მშრალი პროდუქტებით ყოველთვიურად, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სპეციალური კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე.

2.26. უზრუნველყოს სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის რეესტრში რიცხული, ბენეფიციართა ყოველდღიური მზა საკვებიდან მორჩენილი ნარჩენები, რომელიც ექვემდებარება ყოველდღიურ ჩამოწერას აქტით, რეალიზდეს და აღებული თანხა ჩაირიცხოს სპეციალურ ანგარიშზე.

2.27. უზრუნველყოს სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის, ფუნქციონირებასა და განვითარებასთან დაკავშირებული ინფორმაციების მოპოვება, შესწავლა, დამუშავება, ანალიზი და მიწოდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერისათვის ინფორმაციების, დასკვნების, რეკომენდაციებისა და პროექტების სახით.

მუხლი 4

ცენტრის დამფუძნებელი და მისი უფლებამოსილება

1. „ცენტრის“ დამფუძნებელი არის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი.

2. „დამფუძნებელი“ უფლებამოსილია:

2.1. დაამტკიცოს ცენტრის წესდება;

2.2. შეიტანოს მასში ცვლილებები და დამატებები;

2.3. შეცვალოს ცენტრის მიზნები და ფუნქციები.

2.4. მიიღოს გადაწყვეტილება დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების შესახებ, ასევე წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების თაობაზე და განსაზღვროს მისი უფლებები და მოვალეობები.

2.5. მოითხოვოს ყოველგვარი ინფორმაცია დირექტორისაგან ცენტრის საქმიანობის შესახებ.

2.6. მოისმინოს დირექტორისაგან ფინანსური თუ სხვა ხასიათის ანგარიშები;

2.7. კანონმდებლობით დადგენილი წესით გადასცეს ცენტრს ფინანსური სახსრები და ქონება, აკონტროლოს მათი გამოყენების მიზნობრიობა.

2.8. მოისმინოს სკოლამდელი განათლებისა და აგრეთვე, სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის, მართვის პოლიტიკის განხორციელების შესახებ ფინანსური და სხვა სახის ანგარიშები.

2.9. დაამტკიცოს ცენტრის დაფინანსების ბიუჯეტი და ცენტრის მიზნებიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევაში, მოახდინოს მასში ცვლილებები და დამატებები.

2.10. განიხილავს ცენტრის დირექტორის მიერ ბიუჯეტის ათვისების, ასევე საქმიანობის შესახებ წარმოდგენილი ანგარიშები.

2.11. მიიღოს გადაწყვეტილება ცენტრის საქმიანობის შეჩერების, რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის თაობაზე.

2.12. განიხილოს ცენტრის დირექტორის მიერ ბიუჯეტის ათვისების, ასევე საქმიანობის შესახებ წარმოდგენილი ანგარიშები;

2.13. დირექტორის წარდგინების საფუძველზე დაამტკიცოს ცენტრის სტრუქტურა, საშტატო ნუსხა და თანანმდებობრივი სარგოები;

2.14. მხოლოდ დამფუძნებლის წინასწარი თანხმობით არის შესაძლებელი, ცენტრის მიერ უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა ასევე სხვა გადაწყვეტილებათა მიღება ცენტრის ქონებასთან დაკავშირებით, რომელიც სცილდება ცენტრის ჩვეულებრივ საქმიანობას.

მუხლი 5

„ცენტრის" სტრუქტურა

1. სტრუქტურა აისახება ცენტრის წესდებასა და საშტატო ნუსხაში, რომელსაც დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი.

2. „ცენტრის" საქმიანობას წარმართავს ცენტრის დირექტორი, რომელსაც ჰყავს პირველი მოადგილე/მოადგილე.

3. ცენტრის შემადგენლობაშია:

- ✓ ბაღების სამსახური;
- ✓ სასადილოს სამსახური;

4. ცენტრის შემადგენლობაში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებს ხელმძღვანელობენ სამსახურის უფროსები/ხელმძღვანელები.

5. თითოეული სამსახურის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს შესაბამისი სფეროს (მიმართულების) განყოფილებები, რომელთა საქმიანობასაც კოორდინაციას უწევენ განყოფილების უფროსები.

მუხლი 6

„ცენტრის" მართვა

„ცენტრის" დირექტორი

1. „ცენტრს" ხელმძღვანელობს ცენტრის დირექტორი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერი.

2. „ცენტრის" დირექტორი თანამდებობაზე ინიშნება 3 წლის ვადით.

3. „ცენტრის" ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას სრულად ახორციელებს ცენტრის დირექტორი.

4. „ცენტრის" დირექტორის არყოფნის ან მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ახორციელებს დირექტორის პირველი მოადგილე.

5. „ცენტრის" დირექტორი:

5.1. პასუხისმგებელია მატერიალური სახსრების მიზნობრივად და დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე დამფუძნებლის წინაშე.

5.2. ცენტრის დირექტორი მოქმედებს ცენტრის სახელით და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში.

5.3. ცენტრის სახელით დებს ხელშეკრულებებს და გარიგებებს, აწარმოებს მოლაპარაკებებს, გასცემს მინდობილობებს, დამფუძნებლის წინასწარი თანხმობით იძენს და განკარგავს ცენტრის უძრავ ქონებას.

5.4. უზრუნველყოფს „ცენტრის" დამფუძნებლის გადაწყვეტილებების შესრულებას, ქმნის სამუშაო ჯგუფებს და წარმართავს მათ საქმიანობას;

5.5. ახდენს ცენტრის ბალანსზე რიცხული ფასეულობათა ინვენტარიზაციის შესწავლას, წლის ბოლოს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად ამორტიზებული და ძირითადი, ასევე მცირე ფასიანი ინვენტარის ჩამოწერას დამფუძნებლის თანხმობით.

5.6. ამტკიცებს ცენტრის შინაგანაწესს.

5.7. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს საშტატო ნუსხის, ცენტრის ხარჯთაღიცხვის პროექტებს, მენიუებს გაღებსა და სოციალურად დაუცველთა სასადილოსათვის.

5.8. ნიშნავს და ათავისუფლებს ცენტრის თანამშრომლებს. დებს მათთან შრომით ხელშეკრულებებს, ახდენს მათ შორის ფუნქციების გადანაწილებას, განსაზღვრავს ფულადი ჯილდოს გაცემის ან სხვაგვარად წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს. იგი აგრეთვე უფლებამოსილია სამუშაოზე აიყვანოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები.

5.9. განსაზღვრავს ცენტრის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურების) და განყოფილებების ფუნქციებსა და უფლება-მოვალეობებს. იღებს გადაწყვეტილებას ცენტრის თანამშრომლის, როგორც საშტატო ერთეულის საჭიროებისამებრ სხვა სამსახურზე დროებით მიმაგრების თაობაზე.

5.10. განსაზღვრავს ცენტრის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურების) და განყოფილებების სტრუქტურას.

5.11. ცენტრის ფუნქციებიდან გამომდინარე, კანონმდებლობის შესაბამისად გამოსცემს ბრძანებებს.

5.12. დამფუძნებლის მიერ განსაზღვრული უფლებების ფარგლებში ახორციელებს ამ წესდებით და კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა საქმიანობას.

5.13. განსაზღვრავს თანამშრომელთა წახალისების და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს;

5.14. უფლებამოსილია გამოსცეს ბაღის აღსაზრდელთა ტრანსპორტირების აუცილებლობასთან დაკავშირებით შიდა ნორმატიული აქტი და მანძილი განისაზღვროს 2 კმ-დან 25 კილომეტრამდე. ხოლო ისეთი ტიპის დასახლებულ პუნქტში, სადაც გადაადგილება ბაღის აღსაზრდელთათვის საფრთხის შემცველია (გზა გადის დაუსახლებელ და ტყიან ტერიტორიაზე, ცენტრალური მაგისტრალის ან რკინიგზის გასწვრივ, არის მტაცებელი ცხოველების საშიშროება) 1,5 კილომეტრიდან.

6. „ცენტრის" დირექტორი მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში, მოქმედებს დამოუკიდებლად და კეთილსინდისიერად. პერსონალურად აგებს პასუხს ცენტრის საქმიანობის სწორად წარმართვაზე, ცენტრის მფლობელობაში არსებული ქონების დაცვასა და ფულადი სახსრების მიზნობრივ ხარჯვაზე;

7. წესდებით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების ან ცენტრის საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისთვის, სახსრების არამიზნობრივად გამოყენებისათვის, დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ცენტრის დამფუძნებელი.

8. დირექტორი ცენტრის საქმიანობას უნდა უძღვებოდეს კეთილსინდისიერად.

მუხლი 7

დირექტორის პირველი მოადგილე

1. ცენტრის დირექტორის პირველ მოადგილეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს „ცენტრის“ დირექტორი.

2. პირველი მოადგილე ცენტრის დირექტორის ბრძანებით ასრულებს დირექტორის მოვალეობას მისი არყოფნის ან უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის პერიოდში.

3. ცენტრის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე ხელმძღვანელობს ცენტრის საქმიანობის შესაბამის მიმართულებებს, დირექტორის მიერ განსაზღვრული მის საკურატორო სფეროში შემავალი საკითხების და უფლებამოსილების ფარგლებში ასრულებს „ცენტრის“ დირექტორის ცალკეულ დავალებებს.

4. საერთო კოორდინაციას და კონტროლს უწევს მის საკურატორო სფეროში შემავალ თანამშრომლებს, მათი ფუნქცია- მოვალეობების განხორციელებისას.

5. „ცენტრის“ ფუნქციებიდან გამომდინარე, ცენტრის დირექტორთან შეთანხმებით, ცალკეულ დავალებებს აძლევს ცენტრის თანამშრომლებს.

6. თავის საქმიანობას წარმართავს წინამდებარე წესდების, შინაგანაწესის, ცენტრის დირექტორის მიერ გადანაწილებული ფუნქციებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8

დირექტორის მოადგილე

1. „ცენტრის“ დირექტორის მოადგილეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ცენტრის დირექტორი.

2. „ცენტრის“ მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე ხელმძღვანელობს ცენტრის საქმიანობის შესაბამის მიმართულებებს, დირექტორის მიერ განსაზღვრული მის საკურატორო სფეროში შემავალი საკითხების და უფლებამოსილების ფარგლებში ასრულებს ცენტრის დირექტორის ცალკეულ დავალებებს.

3. საერთო კოორდინაციას და კონტროლს უწევს მის საკურატორო სფეროში შემავალ თანამშრომლებს, მათი ფუნქცია - მოვალეობების განხორციელებისას

4. თავის საქმიანობას წარმართავს წინამდებარე წესდების, შინაგანაწესის, ცენტრის დირექტორის მიერ გადანაწილებული ფუნქციებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9

სამსახურის უფროსი

1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ცენტრის დირექტორი.

2. სამსახურის უფროსი, უფლებამოსილების ფარგლებში, ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას.

3. პასუხისმგებელია სამსახურზე დაკისრებული ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულებაზე.

4. სამსახურის თანამშრომლებს აძლევს მითითებებსა და დავალებებს.

5. ახორციელებს ზედამხედველობას და კონტროლს სამსახურის საქმიანობაზე.

6. ადგენს იმ სახსრების, მოწყობილობების, ინვენტარის, საკანცელარიო ნივთების და სხვა საგანთა სიას, რომლებიც საჭიროა სამსახურის წინაშე მდგარი ფუნქციების შესასრულებლად და წარუდგენს ცენტრის დირექტორს.

7. თავის საქმიანობას წარმართავს წინამდებარე წესდების, შინაგანაწესის, ცენტრის დირექტორის მიერ გადანაწილებული ფუნქციებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10

განყოფილების ხელმძღვანელი

1. განყოფილების ხელმძღვანელი, მისთვის განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, უზრუნველყოფს განყოფილებისათვის დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებას.

2. ახორციელებს ზედამხედველობას და კონტროლს განყოფილების საქმიანობაზე. უზრუნველყოფს განყოფილების თანამშრომელთა მიერ შრომის შინაგანაწესის დაცვის კონტროლს.

3. განყოფილების თანამშრომლებს აძლევს მითითებებსა და დავალებებს.

4. შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფის თაობაზე, რომლებიც საჭიროა განყოფილების წინაშე მდგარი ფუნქციების შესასრულებლად.

5. თავის საქმიანობას წარმართავს წინამდებარე შინაგანაწესის, წესდების, ცენტრის დირექტორის მიერ გადანაწილებული ფუნქციებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11

ცენტრის ფინანსური სახსრები და ქონება

1. ცენტრის ქონებას შეადგენს ძირითადი, საბრუნავი საშუალებები და სხვა ფასეულობანი, რომელიც ასახულია მის ბალანსში და საჭიროა ამ წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის მატერიალური უზრუნველყოფისათვის.

2. ცენტრის სახსრები იქმნება დამფუძნებლის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, გადაცემული ქონებით და სახსრებით, რომელიც გამოიყენება მხოლოდ ცენტრის მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად.

3. იურიდიული და ფიზიკური პირების უსასყიდლო და საქველმოქმედო შემოწირულობებით, გრანტებით.

4. ცენტრს შეუძლია საკუთრებაში ჰქონდეს შენობა-ნაგებობები, ფულადი სახსრები, სატრანსპორტო საშუალებები, ინვენტარი და სხვა ქონება რაც აკრძალული არ არის კანონმდებლობით.

5. ცენტრის დირექტორს აკისრია პასუხისმგებლობა ცენტრის ფულადი სახსრების მიზნობრივ განკარგვასა და ქონების დაცვაზე.

6. „დამფუძნებელთან" შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებებს;

6.1. უძრავი ქონების შეძენაზე, გასხვისებაზე, რაიმე ფორმით დატვირთვაზე;

6.2. სესხების აღების თობაზე;

6.3. თავდებობაზე;

6.4. სხვა გადაწყვეტილებებზე, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს და რაც გათვალისწინებული არ არის ამ წესდებით.

7. ცენტრი მისთვის გადაცემულ ქონებას და სახსრებს ფლობს, იყენებს და განკარგავს წესდებით დადგენილი მიზნების შესაბამისად.

მუხლი 12

ცენტრის კონტროლი

1. ,,ცენტრის" კონტროლი გულისხმობს მის მიერ განხორციელებულ საქმიანობის კანონიერებაზე, მიზანშეწონილობაზე, ეფექტურობაზე, ხარისხსა და საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაზე ზედამხედველობას;

2. ,,ცენტრის" საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერი;

3. ,,ცენტრი" ვალდებულია, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება, საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა, შეადგინოს ბალანსი, კვარტალური და წლიური ანგარიშგება და წარუდგიოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერს;

4. საჭიროების შემთხვევაში, „დამფუძნებელი" ,,ცენტრის" საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაციას ამოწმებს მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ან მოწვეული ლიცენზირებული აუდიტორის მეშვეობით;

5. კონტროლის განსახორციელებლად „დამფუძნებული" უფლებამოსილია „ცენტრისაგან" გამოითხოვოს საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია.

6. დამფუძნებელი უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს „ცენტრის" არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

მუხლი 13

ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმის შეცვლა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამართლებრივი ფორმის შეცვლით იგი საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გარდაიქმნება.

2. არასამეწარმეო (არაკომეწრციული) იურიდიული პირის გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა), შერწყმა (გაერთიანება, მიერთება) და ლიკვიდაცია ხორციელდება მეწარმე სუბიექტის ლიკვიდაციისათვის/რეორგანიზაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერი, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით.

4. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.

5. დამფუძნებლის გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული)

იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

6. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერი. არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია თუ :

6.1. გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას.

6.2. ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

6.3. ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

7. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელის, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

8. თუ დამფუძნებელმა არ განსაზღვრა ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორიც ლიკვიდეირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობენ ან შეუძლებელია მათი გამოვლენა, მაშინ შეძლება მიღებულ იქნას გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.

9. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

მუხლი 14

დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის მისი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც იწვევს მათ სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში ცვლილებებს, საჭიროებს რეგისტრაციას. ცვლილება განხორციელებულად ითვლება მისი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია ხორციელდება მეწარმე იურიდიული პირის რეგისტრაციისათვის დადგენილი წესით.

4. თუ ამ წესდების რომელიმე ნორმა რაიმე გარემოების ძალით ბათილად იქნა ცნობილი, ეს არ მოახდენს გავლენას მთლიანად წესდების ნამდვილობაზე. ბათილი ნორმის ნაცვლად გამოიყენება წესი (ნორმა), რომელიც ძალაშია.

5. იმ საკითხების დარეგულირებისას, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე წესდებით, გამოიყენება მოქმედი კანონმდებლობითა და სათანადო სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ნორმები.

6. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.